საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-554

12/07/2018

ქ. თბილისი

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

მიმდინარე წლის 12 და 25 აპრილს სამინისტროს მომართა შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიამ“ და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

2013 წელს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ შპს „ქართული ცემენტის“ ცემენტის წარმოებაზე გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის №13 (02.04.2013) დასკვნა და №000072 გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. 2017 წლის 14 მარტის მომართვის საფუძველზე, რომლის თანახმადაც მოხდა შპს „ქართული ცემენტის“ შერწყმა შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსთან“ და შპს “ჰაიდელბერგბეტონ ჯორჯიასთან“ და გაერთიანების შედეგად კომპანიას ეწოდა შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი“, სამინისტროს მიერ შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსზე“ გაიცა სანებართვო მოწმობა.

2018 წლის 12 აპრილის მომართვაში აღნიშნულია, რომ კომპანიის მფლობელთა გადაწყვეტილებით ამჯერად მოხდა შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსისა“ და შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ შერწყმა და რეორგანიზაციის შედეგად რეგისტრირებული სუბიექტი გახდა შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2013 წლის №13 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და საქმიანობის განმახორციელებელს დაეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულება.

ამავდროულად ძალადაკარგულად ცხადდება „შპს „ქართული ცემენტის“ ცემენტის წარმოების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე გარემოზე ზემოქმედების

ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 აპრილის №ი-85 ბრძანება, თუმცა აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 2013 წლის №13 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დანართის სახით თან დაერთვება მოცემულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოებაზე გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (დასკვნა №13; 02.04.2013);
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები;
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ქართული ცემენტის“ ცემენტის წარმოების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 აპრილის №ი-85 ბრძანება;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი